

# ტესტი ისტორიაში

## I ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15.

თითოეულ შეკითხვას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 1. ვის სახელს უკავშირდება ბაბილონის სამეფოს აღზევება ძვ.წ. XVIII საუკუნეში?

ა) ამურბანიფალის;

ბ) არგიშთი II-ის;

გ) სარგონ I-ის;

დ) ხამურაბის.

(1) 2. ვისი მოკავშირეობით დაამარცხა ფარნავაზმა აზო (აზონი)?

ა) ადერკის;

ბ) არტაგის;

გ) საურმაგის;

დ) ქუჯის.

(1) 3. რომელი ინფორმაცია არ არის მართებული ქრისტიანობის ისტორიის შესახებ I-III საუკუნეებში?

ა) ქრისტიანობა წარმოიშვა რომის იმპერიის ერთ-ერთ აღმოსავლურ პროვინციაში;

ბ) პირველი ქრისტიანები კატაკომბებში აღასრულებდნენ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს;

გ) ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი შედეგი ვეტერანთა გახშირებული აჯანყებები იყო;

დ) რომის იმპერატორები, უმთავრესად, ქრისტიანული რელიგიის მიმდევრებს დევნიდნენ.

(1) 4. რომელი ფაქტია მართებული ვანდალთა სამეფოს შესახებ?

- ა) რომის პაპმა ხლოდვიგი გაქრისტიანების შემდეგ ვანდალთა პირველ მეფედ აკურთხა;
- ბ) ვანდალებმა თავიანთი სამეფო ჩრდილოეთ აფრიკაში ჩამოაყალიბეს;
- გ) ვანდალების სამეფო მეროვინგების დინასტიამ დააარსა;
- დ) თებე ახლადჩამოყალიბებული ვანდალთა სახელმწიფოს დედაქალაქად გამოცხადდა.

(1) 5. რომელი მსჯელობაა მართებული VII ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ?

- ა) ლუი IX-ის მეთაურობით ჯვაროსნები ეგვიპტეში შეიჭრნენ, მაგრამ მეფე ტყვედ ჩავარდა და დიდი გამოსასყიდის ფასად გათავისუფლდა;
- ბ) ჯვაროსნებმა სირია-პალესტინის ციხეები დაიბრუნეს, მაგრამ დამასკოსთან დამარცხდნენ და იძულებულნი გახდნენ, ზავი დაედოთ;
- გ) იმპერატორ კონრად III-ის ხელმძღვანელობით ჯვაროსნებმა იერუსალიმს ალყა შემოარტყეს და მოწინააღმდეგე აიძულეს, ქალაქი დაეთმო;
- დ) ჯვაროსანთა ჯარი კვიპროსზე გაერთიანდა და იქიდან მიიტანა იერიში ანტიოქიაზე, თუმცა ქალაქის დამცველებმა შეტევა მოიგერიეს.

(1) 6. რომელი მსჯელობაა მართებული ოსმალეთის სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ?

- ა) ჩობანიანთა დინასტიის წარმომადგენელმა მცირე აზიაში ძლიერი სახელმწიფო ჩამოაყალიბა და ახალ დინასტიას დაუდო სათავე;
- ბ) რუმის სასულთნოს დაშლის შედეგად წარმოშობილი ერთ-ერთი სამთავროს მეთაურმა დაიმორჩილა მეზობელი სამთავროები და ბიზანტიის იმპერიას შეუტია;
- გ) ოქროს ურდოს ერთ-ერთმა სარდალმა საყაენოს დაშლის შემდგომ ბიზანტიისათვის წართმეულ მიწა-წყალზე ახალ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი;
- დ) არაბთა სახალიფოს დაცემის შემდგომ ანატოლიის ამირამ თავი სულთნად გამოაცხადა და რამდენიმე წელიწადში კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყა.



(1) 7. რომელი მოსაზრებაა მართებული სეფიანთა ირანის შესახებ?

- ა) სეფიანთა ირანის სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი ყიზილბაშთა ტომებმა შეასრულეს;
- ბ) სეფიანთა ირანში სუნიტური ისლამი იყო გაბატონებული, რაც რუმის სასულთნოსთან მუდმივ დაპირისპირებას იწვევდა;
- გ) აზასიანთა სახელმწიფოს დაპყრობის შემდეგ სეფიანთა ირანის შაჰებმა ხალიფას ტიტული მიიღეს;
- დ) სეფიანთა ირანი მცირე აზიის, სირიისა და პალესტინის დასაუფლებლად განუწყვეტელ ომებს აწარმოებდა მამლუქთა სახელმწიფოსთან.

(1) 8. რომელი ისტორიული მოვლენა უკავშირდება ინგლისში ოლივერ კრომველის მმართველობას?

ა) „უფლებათა ბილის“ შემუშავება და დამტკიცება;

ბ) ესპანელთა „უძლეველი არმადის“ განადგურება;

გ) ჰოლანდიასთან ომში გამარჯვება;

დ) ანგლიკანური ეკლესიის რომის პაპისადმი დაქვემდებარება.

(1) 9. რა შედეგით დასრულდა შვიდწლიანი ომი საფრანგეთისათვის?

- ა) ჩრდილოეთ ამერიკასა და ინდოეთში სამფლობელოების დაკარგვით;
- ბ) გერმანიაზე ჰეგემონიის მოპოვებითა და რაინის კავშირის ჩამოყალიბებით;
- გ) სიცილიის, სარდინიის და კორსიკის კუნძულების შემოერთებით;
- დ) ესპანეთში საფრანგეთის მმართველი ვალუების დინასტიის გამეფებით.

(1) 10. სხვა მიზეზებთან ერთად, რატომ გადაწყვიტა ერეკლე II-მ 1768-1774 წლებში მიმდინარე რუსეთ-ოსმალეთის ომში ჩაბმა?

- ა) ქართლ-კახეთის ოსმალთა მოხარკეობისაგან გათავისუფლება უნდოდა;
- ბ) თბილისის ციხეებიდან ოსმალთა განდევნა და ტყვეებით ვაჭრობის აკრძალვა სურდა;
- გ) სამცხიდან ოსმალების განდევნას და ამ რეგიონის შემოერთებას აპირებდა;
- დ) იმერეთის სამეფოს შემოერთებაზე ფიქრობდა, რომელიც ოსმალეთის ვასალი იყო.

(1) 11. რომელი მოსაზრებაა მართებული ამერიკის დამოუკიდებლობის ომის შესახებ?

- ა) სამხედრო და ფინანსური დახმარების სანაცვლოდ ამერიკელმა კოლონისტებმა რუსეთს ალასკა მიჰყიდეს;
- ბ) საფრანგეთმა მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება აღმოუჩინა ჩრდილოეთ ამერიკელ კოლონისტებს;
- გ) ამერიკელმა კოლონისტებმა დაამარცხეს დიდი ბრიტანეთი და აიძულეს, კანადა მთლიანად მათთვის დაეთმო;
- დ) ომში დამატებითი ძალების მობილიზაციისათვის კოლონისტებმა ამერიკის ტერიტორიაზე მონობა გააუქმეს.

(1) 12. რომელი მსჯელობაა მართებული ნაპოლეონის ხელისუფლებაში მოსვლის შესახებ?

- ა) ესპანეთში წარმატებული ლაშქრობის შემდეგ ჯარში და მოსახლეობაში საკუთარი ავტორიტეტით ისარგებლა და რომის პაპს თავი იმპერატორად აკურთხებინა;
- ბ) როიალისტების აჯანყების ჩახშობის შემდეგ საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ მას პირველი კონსულის თანამდებობა შესთავაზა, რასაც ის დაეთანხმა;
- გ) გამოიყენა მის დაქვემდებარებაში არსებული სამხედრო შენაერთები, დაამხო იაკობინელთა დიქტატურა და შექმნა კოლეგია, რომლის ერთ-ერთი წევრიც თავად გახდა;
- დ) ეგვიპტიდან დაბრუნებულმა სამხედრო გადატრიალება მოაწყო, გარეკა დირექტორია, ხოლო სახელმწიფოს მართვა სამ კონსულს დაევალა, რომელთაგან ერთ-ერთი თავად იყო.

(1) 13. სხვა მიზეზებთან ერთად, რატომ დაარღვია გერმანიამ პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში ბელგიის ნეიტრალიტეტი?

ა) ბელგიის დაკავებით ამერიკელებს დესანტის გადმოსხმის საშუალება მოესპოთ;

ბ) ბელგიის ტერიტორიის გავლით გერმანიის ჯარი აპირებდა საფრანგეთში შეჭრას;

გ) ბელგია შეიძლება სამთა კავშირს მიმხრობოდა და გერმანიის ჯარისთვის ზურგიდან შეეტია;

დ) ბელგიაში არსებულმა გერმანულმა სათვისტომოებმა გერმანიის იმპერატორს დახმარება სთხოვეს.

(1) **14. რომელი ინფორმაციაა მართებული ერთა ლიგის შექმნის შესახებ?**

- ა) ორგანიზაციის შექმნის იდეა აშშ-ს პრეზიდენტმა წამოაყენა, თუმცა, როდესაც საბოლოოდ ეს ორგანიზაცია შეიქმნა, აშშ მასში არ გაწევრიანდა;
- ბ) ორგანიზაციის ჩამოყალიბება საფრანგეთის პრეზიდენტმა მოითხოვა, მაგრამ მასში გერმანიის გაწევრიანების წინააღმდეგი იყო;
- გ) ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ეკუთვნოდა, თუმცა ეწინააღმდეგებოდა პატარა სახელმწიფოების მიღებას;
- დ) ორგანიზაციის ჩამოყალიბებას ყველაზე მეტად იტალიის პრემიერ-მინისტრი ითხოვდა, და მასში მხოლოდ ევროპის სახელმწიფოები უნდა გაერთიანებულიყო.



(1) 15. რომელი ინფორმაციაა მართებული 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში გამართული არჩევნების შედეგის შესახებ?

- ა) პირველად საქართველოს ისტორიაში უმრავლესობა მოიპოვა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და ჩამოაყალიბა ერთპარტიული მთავრობა;
- ბ) შეიქმნა საქართველოში პირველი კოალიციური მთავრობა, რომელშიც კომუნისტური პარტიის წევრებთან ერთად ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებიც შედიოდნენ;
- გ) გაიმარჯვეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა და საქართველოში კომუნისტური ხელისუფლების მმართველობა დასრულდა;
- დ) წარმატებას მიაღწიეს საერთო კავკასიურ ანტისაოკუპაციო მოძრაობაში გაერთიანებულმა პარტიებმა და შეწყდა საოკუპაციო რეჟიმის მოქმედება.

### ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

(1) 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ რომის იმპერატორები მათი ზეობის დროის მიხედვით:

1. კარაკალა
2. ანტონინუს პიუსი
3. ოქტავიანე ავგუსტუსი

(1) 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ქალაქები დავით აღმაშენებლის მიერ მათი გათავისუფლების დროის მიხედვით:

1. თბილისი
2. სამშვილდე
3. დმანისი

(1) 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ XX საუკუნეში ცივი ომის პერიოდში მომხდარი მოვლენები:


1. ავღანეთის ომი
2. კარიბის კრიზისი
3. კორეის ომი

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 19.

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში მოცემული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 6.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





1449 წელს ასწლიანი ომი განახლდა. ფრანგებმა წარმატებას მიაღწიეს და ნორმანდიის ნაწილი დაიპყრეს. მომდევნო წელს ინგლისელთა ახალი ლაშქარი, თომას კირიელით სათავეში, ნორმანდიაში გადასხდა და თავდაპირველად გარკვეულ წარმატებას მიაღწია, ვალონის ციხე დაიბრუნა და ქალაქ ბაიოსკენ დაიძრა. გზაში, ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტთან, ინგლისელები ფრანგთა შედარებით მცირერიცხოვან ლაშქარს გადააწყდნენ, რომელსაც კლერმონის გრაფი მეთაურობდა. კირიელმა გადაწყვიტა, აღარ წასულიყო ბაიოსაკენ, ესარგებლა რიცხობრივი უპირატესობით და აქვე გაემართა ბრძოლა. ინგლისელებთან შეხვედრის შემდეგ კლერმონის გრაფმა მოკავშირე ბრეტონელთა მეთაურს მაცნე გაუგზავნა და მოუწოდა საჩქაროდ მასთან შესაერთებლად დაძრულიყო. ბრძოლა ფრანგთა შეტევით დაიწყო, მათ ინგლისელთა ფლანგებზე მიიტანეს იერიში, თუმცა წარმატებას ვერ მიაღწიეს და უკან დაიხიეს. მაშინ კლერმონის გრაფმა ბრძოლაში მის ხელთ არსებული სამხედრო ტექნიკა ჩართო. საპასუხოდ ინგლისელთა ჯარის ერთ-ერთი შენაერთი კონტრშეტევაზე გადავიდა და მოწინააღმდეგის სამხედრო ტექნიკას დაეუფლა. ამასობაში ბრძოლის ველს სამხრეთიდან ახალი ლაშქარი მიადგა. ინგლისელებმა ჩათვალეს, რომ ეს ახლომდებარე ინგლისური ციხეების გარნიზონი იყო და ზეიმი დაიწყეს.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე**

## კითხვები:


- (1) **19.1.** რომელ დასახლებულ პუნქტთან გაიმართა ბრძოლა ფრანგებსა და ინგლისელებს შორის?
- (1) **19.2.** ფრანგთა ჯარის რომელი სახეობის შენაერთმა შეუტია ინგლისელებს თავდაპირველად?
- (2) **19.3.** კონკრეტულად რა სამხედრო ტექნიკა ჩართო ბრძოლაში კლერმონის გრაფმა პირველი შეტევის შემდეგ და ინგლისელთა ჯარის რომელი სახეობის შენაერთმა მოახერხა მათი ხელში ჩაგდება?
- (1) **19.4.** კონკრეტულად რა მოიმოქმედა ბრძოლის ველზე სამხრეთიდან შემოჭრილმა ლაშქარმა ბრძოლაში ჩაბმის შემდეგ?
- (1) **19.5.** დაასახელეთ ბრძოლაში მონაწილე კონკრეტული მხედართმთავარი, რომელიც ტყვედ ჩავარდა.




## ინსტრუქცია დავალებისათვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 5.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



ვიცით, რომ  
მსოფლიო  
ვუჭარტ!



კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(2) **20.1.** რა ტიპის ბეჭდური პროდუქციაა ასახული ილუსტრაციაზე და რა იყო ამ ბეჭდური პროდუქციის მთავარი მიზანი?

(2) **20.2.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, სადაც შეიქმნა ბეჭდურ პროდუქციაზე ასახული დოკუმენტი? ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ის თქვენს მიერ დასახელებულ სახელმწიფოში შეიქმნა?


(1) **20.3.** საკუთარ ცოდნაზე დაყრდნობით, მოიტანეთ ისტორიული ფაქტი, რომელიც ადასტურებს, რომ ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაცია - „ვიწონებთ, მხარს ვუჭერთ“, არ ასახავდა რეალობას?

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 8.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

## კითხვები:

(1) **21.1.** რა ეწოდებოდა სახელმწიფოს, რომლის ჩამოყალიბება და ტერიტორიული გაფართოებაა ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** დაასახელეთ სახელმწიფო, რომლის ჯარის მოქმედებაც რუკაზე აღნიშნულია ლურჯი ფერის ისრებით.

(2) **21.3.** რა ეწოდება რუკაზე შავი წყვეტილი ისრით აღნიშნულ გადასვლას და ვინ მეთაურობდა მას?

(2) **21.4.** რა ეწოდებოდა დიდ აღმოსავლურ სახელმწიფოს, რომელიც განადგურდა რუკაზე აღნიშნული სამხედრო მოქმედებების შედეგად და რუკის რომელი ინფორმაცია ადასტურებს მის განადგურებას?

(2) **21.5.** რა ეწოდებოდა პოლიტიკურ ერთეულს, სადაც რუკის მიხედვით, მოეწყო ბოლო ლაშქრობა და, რუკის მიხედვით, რა შედეგით დასრულდა ის?

**ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23.**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 22.

978 წელს ქართველ დიდებულთა ნაწილმა გადაწყვიტა, რომ ბაგრატ III ქუთაისში აფხაზთა მეფედ ეკურთხებინა. დიდებულების ნაწილმა მხარი დაუჭირა ამ აზრს, ნაწილი კი ბაგრატ III-ის გამეფების წინააღმდეგი იყო.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ბაგრატ III-ის აფხაზთა მეფედ კურთხევის მომხრე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ არგუმენტი, რომლითაც ბაგრატ III-ის აფხაზთა მეფედ კურთხევის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას განამტკიცებდა.



## დავალება 23.

1848 წელს ავსტრიის იმპერიაში დაიწყო უნგრელების დიდი აჯანყება. ავსტრიას არ ყოფნიდა ძალები მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. იმპერატორის კარზე გაჩნდა აზრი, რომ დახმარება რუსეთისთვის ეთხოვათ. ავსტრიის იმპერატორის მრჩეველთა ნაწილი მხარს უჭერდა რუსეთისათვის დახმარების თხოვნას, ნაწილი კი არა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც რუსეთისათვის დახმარების თხოვნის მომხრე საკუთარ პოზიციას განამტკიცებდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც რუსეთისათვის დახმარების თხოვნის მოწინააღმდეგე საკუთარ პოზიციას განამტკიცებდა.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 24.

III საუკუნის ბოლოს იმპერატორმა დიოკლეთიანემ რომის იმპერიაში მმართველობის ახალი ფორმა - ტეტრარქია შემოიღო.

### კითხვები:

(1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული მოვლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.

(1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა რომის იმპერიის ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

**ინსტრუქცია დავალებისათვის №25.**

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

**ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**



## საბჭოთა რუსეთის სადაზვერვო ინფორმაცია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესახებ

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები შედგება ორი სტრუქტურისგან: არმია და სახალხო გვარდია. სახალხო გვარდიის ხელმძღვანელთა არაერთი გამოსვლის საპასუხოდ, რომ არმია უნდა გადაკეთდეს გვარდიის პრინციპზე, გენერალურმა შტაბმა მოამზადა მოხსენება, სადაც საუბარი იყო ერთიანი, ძლიერი არმიის შექმნაზე.

შეიარაღებული ძალების სათავეში დგას სამხედრო მინისტრი. მასთან არსებობს სამხედრო საბჭო. საქართველოს რესპუბლიკის არმიას შეუძლია გამოიყვანოს 15-დან 18 ათასამდე მეზრძოლი და ამას ემატება დაახლოებით 16 ათასი სახალხო გვარდიელი.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

არმიის შემადგენლობაშია ქვეითთა სამი ბრიგადა. პირველის შტაბი მდებარეობს სოხუმში, მეორის - თბილისში, მესამის - ახალციხეში.

არმიის ოფიცერთა კორპუსით დაკომპლექტებისას უპირატესობა ენიჭებოდათ პარტიის წევრ ან პარტიასთან დაახლოებულ ოფიცრებს. ამიტომ ძველი არმიის ოფიცრები, რომლებსაც ჰქონდათ კარგი განათლება და დიდი სამხედრო გამოცდილება, ან არმიის მიღმა აღმოჩნდნენ, ან უკავიათ უმნიშვნელო თანამდებობები.

რადგან ქართული არმიის საფუძვლად აღებულია გერმანული სისტემა, ამიტომ არსებობს შემდეგი წოდებები: გენერალი, პოლკოვნიკი, მაიორი, კაპიტანი, უფროსი ლეიტენანტი და ლეიტენანტი.

სამომავლოდ ოფიცერთა კორპუსის შესავსებად თბილისში დაარსდა სამხედრო სკოლა, რომელშიც **ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

ოთხი განყოფილებაა: ქვეითთა, საკავალერო, საარტილერიო და საინჟინრო. სწავლა ორწლიანია.

ქართული არმია შეიარღვებულია რუსეთის იმპერიის ყოფილი კავკასიის არმიის შეიარაღებით.

სახალხო გვარდია აგებულია მოხალისეობის პრინციპზე. სურვილის შემთხვევაში მასში ეწერებიან: მუშები, გლეხები, სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლები და სხვ. ყველა გვარდიელს გადაეცემა: თოფი, ტყვია-წამლის კომპლექტი, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. მშვიდობიანობის დროს გვარდიელები დაკავებული არიან საკუთარი საქმიანობით და პერიოდულად ცხადდებიან შტაბში სამწყობრო და საბრძოლო წვრთნებისთვის.

სახალხო გვარდიას ხელმძღვანელობს შტაბი. გვარდიის შენაერთებს ეწოდებათ ბატალიონები.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

მობილიზაციის შემთხვევაში გვარდიელები ცხადდებიან რაიონულ შტაბებში და ამ დროს ბატალიონებში 800-1000 მეზრძოლი იყრის თავს. გამონაკლისს წარმოადგენს გვარდიის საგანგებო ბატალიონი, რომელიც მუდმივად არის მობილიზებული. სახალხო გვარდიის ასეთ ორგანიზებას აქვს დადებითი მხარეც, ძალიან სწრაფად ხდება გვარდიელების მობილიზაცია. ამას სჭირდება ერთი-ორი დღე.

საქართველოს მთავრობა შეიარაღებულ ძალებს უყენებს შემდეგ მოთხოვნას, დაიცვას სახელმწიფოს საზღვრები. გამომდინარე ამ ამოცანიდან საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა თვლის, რომ შეიარაღებული ძალების მთავარი სტრატეგიაა „პასიური თავდაცვა“ და ყურადღებას არ აქცევს

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე**

„მანევრირებას“, „აქტიურობას“ და ითვალისწინებს რა ქვეყნის მთაგორიან რელიეფს, ძირითად აქცენტს აკეთებს „თავდაცვით სამხედრო მოქმედებებზე“. აღსანიშნავია, რომ საინჟინრო თვალსაზრისით, ამ მხრივ არაფერი გაკეთებულა.

შეიძლება ითქვას, რომ სამხედრო თვალსაზრისით, საქართველო წარმოადგენს სახელმწიფოს, რომელსაც არ შეუძლია აქტიური სამხედრო მოქმედებების წარმოება.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

შეიარაღებული ძალები ჰყავს მხოლოდ ქვეყნის შიგნით წესრიგისა და საზღვრების დასაცავად. არ შეუძლია აწარმოოს ხანგრძლივი სამხედრო კამპანიები. სამხედრო მოქმედებების დაწყება მალევე გამოიწვევს ეკონომიკურ კრიზისს, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის მიზეზი გახდება.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე**

## კითხვები:

(1) **25.1.** დოკუმენტის მიხედვით, დაასახელეთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ორი სამხედრო სტრუქტურა.

(1) **25.2.** დოკუმენტში არსებული რომელი ინფორმაცია ადასტურებს, რომ მთავრობა ზრუნავდა შეიარაღებული ძალების განვითარებაზე?

(1) **25.3.** დოკუმენტის მიხედვით, რატომ არსებობდა ქართულ არმიაში მხოლოდ შემდეგი წოდებები: გენერალი, პოლკოვნიკი, მაიორი, კაპიტანი, უფროსი ლეიტენანტი და ლეიტენანტი?

(1) **25.4.** დოკუმენტის მიხედვით, რა იყო გვარდიის უპირატესობა ორგანიზაციული თვალსაზრისით?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)



(1) **25.5.** დოკუმენტის მიხედვით, რა ორი უმთავრესი ამოცანა უნდა შეესრულებინა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს?

(1) **25.6.** თქვენი აზრით, რატომ იყო ქართული არმია შეიარაღებული მაინცდამაინც რუსეთის იმპერიის ყოფილი კავკასიის არმიის შეიარაღებით?

(1) **25.7.** თქვენი აზრით, რა შეიძლება გაკეთებულიყო „საინჟინრო თვალსაზრისით“ ქვეყნის თავდაცვისათვის?

(2) **25.8.** დოკუმენტის მიხედვით, რა მოითხოვა გენერალურმა შტაბმა და რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** დოკუმენტის მიხედვით, რა უპირატესობა ჰქონდათ ძველი არმიის ქართველ ოფიცრებს, რომლებიც არმიის მიღმა აღმოჩნდნენ და რატომ არ მიიღეს ისინი ქართულ არმიაში?

(2) **25.10.** დოკუმენტის მიხედვით, გვარდიის ბატალიონებიდან რომელი წარმოადგენდა გამონაკლისს და რაში გამოიხატებოდა ეს გამონაკლისი?

(2) **25.11.** დოკუმენტში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა შეიძლება ყოფილიყო გვარდიის „სუსტი წერტილი“ არმიასთან შედარებით და თქვენი აზრით, რატომ?

(2) **25.12.** დოკუმენტის მიხედვით, რა გამოიწვევდა საქართველოში ეკონომიკურ კრიზისს და, თავის მხრივ, რისი მიზეზი გახდებოდა ეს კრიზისი?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)